

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1983 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრის რაიონული კომიტეტისა და
ცენტრის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№125 (6351)

16 ოქტომბერი 1990 წელი სამშაბათი

ფასი 8 კაპიკი

დღეს გთავაზობთ:

* პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ

* ჩვენი წარდგინება

ეროვნულ-ქრისტიანული პარტია

მე-11 გვერდი.

* ერთი ოცნებით

ტრიუნი ეთნოზა

დეპუტატობის კანდიდატს გაეცა ჩარკვიანს

მე-111 გვერდი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირში საკუთრების უფლების შეუპალოხის

დაცვის ღონისძიებათა შესახებ

მშენებლის მთელ რიგ რეგიონ-
ებში გახშირდა სახელმწიფო და
საზოგადოებრივი საწარმოების,
დაწესებულებების, ორგანიზაცი-
ების კუთვნილი ქონების უკანონო
ჩამორთმევის შემთხვევები. ფა-
რთოდ არის გავრცელებული მო-
ქალაქეთა საკუთრების ხელყოფა.

ქონებრივი ურთიერთობის სტა-
ბილურობა და საკუთრების უფ-
ლების შეუპალოხა თანამედროვე
ეკონომიკური პოლიტიკის უცო-
ლობელი პირობაა. ისინი ხელს
უწყობენ სამეწარმეო საქმიანობის
განვითარებას, უზრუნველყოფენ
ქონებისა და ინვესტიციების, მათ
შორის საზღვარგარეთელი პარტ-
ნიორების ქონების დაცვა-შენა-
ხვას, ხელს უწყობენ ქვეყნის
ეკონომიკური და სოციალურ-
პოლიტიკური ვითარების სტაბი-
ლურობას მისი განვითარების
რთულ პერიოდში.

ყველა მესაკუთრის ქონებრივი
უფლებებისა და კანონიერი ინ-
ტერესების დაცვის მიზნით, სსრ

კავშირის კონსტიტუციის 10 მუხ-
ლისა და 1278 მუხლის 1 და 4
პუნქტების, „სსრ კავშირში საკ-
უთრების შესახებ“ სსრ კავშირის
კანონის 1, 31-34 მუხლების სა-
ფუძველზე ვადაგენ:

1. არ ექვემდებარება შესრულ-
ებას როგორც სსრ კავშირის კო-
ნსტიტუციის საწინააღმდეგო-სახ-
ელმწიფო ხელისუფლებისა და
მმართველობის ორგანოების აქტ-
ები, რომლებიც დაკავშირებულია
მოქალაქეების, შრომითი კოლექ-
ტივების, საზოგადოებრივი ორგა-
ნიზაციებისა და სხვა მესაკუთრ-
ების კუთვნილი მატერიალური
და ფულადი ფასეულობების, სხვა
ქონების უკანონო ჩამორთმევას-
თან.

თანამდებობის პირთა ან მოქ-
ალაქეთა მოქმედება, რომლებსაც
ჩაიდან მესაკუთრის კუთვნილი
ქონების ფაქტობრივი ჩამორთ-
მევის მიზნით ანდა მესაკუთრის
კუთვნილი ქონების მფლობელო-
ბის, სარგებლობისა და განკარ-
გვის უფლებათა შესაზღუდავად,
რაც არ ემყარება სასამართლოს,

სახელმწიფო არბიტრაჟის, ან სხვა
კომპეტენტური სახელმწიფო ორ-
განოს გადაწყვეტილებას, არამა-
რტოზომიერია და იწვევს კანო-
ნით გათვალისწინებულ პასუხი-
სმგებლობას.

2. სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭომ სსრ კავშირის კონსტი-
ტუციის 131 მუხლის შესაბამი-
სად შეიმუშაოს და განახორციე-
ლოს ღონისძიებანი საკუთრების
უფლების გარანტიების გასაძლი-
ერებლად და სხვადასხვა მესა-
კუთრეთა კუთვნილი ქონების
დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ
დავალების შესრულება მომასხე-
ნონ 1991 წლის 1 იანვრისათვის.

3. წინადადება მიეცეთ სსრ
კავშირის პროკურატურას, სსრ
კავშირის შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროსა და სსრ კავშირის სა-
ხელმწიფო არბიტრაჟს მათთვის
მინიჭებული უფლებამოსილების
საფუძველზე უზრუნველყონ მო-
ქალაქეების, შრომითი კოლექტი-
ვების, სახელმწიფო და საზოგა-

დობრივი საწარმოების, დაწესე-
ბულებებისა და ორგანიზაციების
ქონებრივი უფლებებისა და კა-
ნონიერი ინტერესების დაცვა,
გადაჭრით აღკვეთონ მათი ქონე-
ბის უკანონო ჩამორთმევა, და-
უყოვნებლივ დააბრუნებინონ ჩა-
მორთმეული ქონება კანონიერი
მფლობელებისათვის, მისცენ სი-
სხლის სამართლის, ადმინისტრა-
ციულ და ქონებრივ პასუხისგე-
ბაში თანამდებობის პირნი და
მოქალაქენი, რომლებიც უშვებენ
ძალუფლების გადამეტებას და
თვითნებობას.

დაევალოს სსრ კავშირის შინა-
გან საქმეთა სამინისტროს, საჭი-
როებისამებრ დაუწესოს დაცვა
სახელმწიფო და კოლექტიური
საკუთრების ობიექტებს მათი
უკანონო ჩამორთმევის საფრთ-
ხის შემთხვევაში.

4. შემოღებულ იქნეს ეს ბრძა-
ნებულება სამოქმედოდ გამოქვე-
ყნების მომენტიდან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. გორბაჩოვი.

შესვლენ დეპუტატობის კანდიდატს

15 ოქტომბერს ცენტრის
სარაიონო კულტურის სახ-
ლში გაიმართა ამომრჩევე-
ლთა შეხვედრა საქართვე-
ლოს უზენაესი საბჭოს დე-
პუტატობის კანდიდატთან
ცენტრის №79 საარჩევნო
ოლქში ბატონ თამაზ პიმი-
ნის ძე ყურაშვილთან. იგი
დეპუტატობის კანდიდატად
დაასახელა საქართველოს
ეროვნულ-ქრისტიანულმა პა-
რტიამ, რომელიც გაერთი-
ანებულია საარჩევნო ბლოკ-
ში „მრგვალი მაგიდა—თავი-
სუფალი საქართველო“.

შეხვედრა გახსნა წმინდა
ილია მართლის საზოგადო-
ების წევრმა, დეპუტატობის
კანდიდატის ნდობით აღჭუ-
რეილმა პირმა ია ხმელიძემ.
მან დეპუტატობის კანდიდა-
ტის ბიოგრაფიაზე, შრომით
და საზოგადოებრივი საქმი-
ანობაზე მოუთხრო ამომრ-
ჩევეებს.

დეპუტატობის კანდიდატი
თ. ყურაშვილი ამომრჩევე-
ლებს ესაუბრა საარჩევნო
ბლოკის „მრგვალი მაგიდა-
თავისუფალი საქართველო“
პოლიტიკური და ეკონომი-
კური პლატფორმის ძირითა-
დი მიმართულებების, ჯანმ-
რთელობის დაცვის სამსა-
ხურის გარდაქმნისა და გან-
ვითარების მისეული კონცე-
ფციის შესახებ, უპასუხა
დარბაზიდან დასმულ შეკი-
თხებებს.

დეპუტატობის კანდიდა-
ტის თ. ყურაშვილის ასეთი-
ვე შეხვედრები მოეწყო
შრომის სახლში რაიონის
ახალგაზრდობის ერთ ნაწი-
ლთან, რაიონულ საავადმყო-
ფოში რაისაავადმყოფოს
შრომითი კოლექტივთან, ბარ-
დნალის საშუალო სკოლის
პედაგოგებთან.



სამი შვილის დედაა ტვიშელი
მათიკო ნემსწვერიძე (სურა-
თზე). შრომისმოყვარე დედას და
ერთგულ მეუღლეს პირადი მე-
ურნეობაც კარგი მოწყობილი
აქვს და ყოველწლიურად აქტი-
ურად მონაწილეობს აბრეშუმის
მუხრის გამოცემაში. მიმდინარე
წელს ქვეყნის მრეწველობის მისი
ხელთ მოწეული 50 კილოგრამი
პარკი მიაწოდა.

სოფელი და ადამიანები

გოლოსდაგოლოს დადგა

დრო, როცა ფასდაუდებელი
გახდა სოფლის მშრომელთა გა-
რჯა. მიწასთან ურთიერთობაში
მყოფ კაცს მიწის პატრონობის
გრძნობა გაუჩნდა, რაც სამომა-
ვლოდ ჩვენი გადარიბებული
ეკონომიკის გაჯანსაღების იმედს
გვისახავს.

ლილაშელმა ჟორა თვარაძემ
ჯერ კიდევ სამი წლის წინ გაი-
თავისა სასურსათო პროდუქტე-
ბის სიმცირით გამოწვეულ სირ-
თულზე ზრუნვა. და როცა კო-
ლმეურნეობის მეცხოველეობის
ფერმის დაშლაზე დადგა საქმე,
სხვა ერთი სული პირუტყვის
გაყვანაზეც უარს ამბობდა,
მხრებს იკვნივლად იჩივდა. მან
კი 5 სული მსხვილფეხა პირუტ-
ყვი წაიყვანა ოჯახურ მეურნეო-
ბაში მოსაგლეხად. მალე სა-
თიბებში დანაწილდა, არ შეშინ-
და მუშა კაცი—მიწა იყოს, კაცს

გარჯითა შენითა

საქმე ჰქონდეს და თავის გართ-
მევა რას მიქცევით—თქვა და ერ-
თი პექტარი სათიბი აიღო, საი-
მედოდ შემოაკავა და აქამდე
გავლურებული ადგილი, ნამდვი-
ლ სათიბად აქცია. პირუტყვმა
შეიფერა ოჯახურ პირობებში
მოვლა—მზრუნველობა და ჟორა-
მაც ოჯახის წევრებთან, მეუღლ-
ესთან, შვილთან და რძალთან
ერთად მეტი ხალისით განაგრძო
დაწყებული საქმე. და აი, ახლა
გლეხურ მეურნეობაზე გადასე-
ლის სურვილი გაუჩნდა. გადაწყ-
ვეტილებაც უწყყანოდ მიიღო.
ბუნებრივია, გულდაკრებით მა-
შინ იშრომებს მშრომელი კაცი,
როცა დარწმუნებულია, რომ

მისი მეურნეობის შიგნით
რასაც შექმნის და აწარმოებს,
არაფინ წაიღებს, მისი საკუთრე-
ბა იქნება. ახლა ის დროა, რო-
ცა კაცი თავისი შრომით დაფა-
სდეს, ყალბ სიტყვებს კი არა,
პრაქტიკულ საქმეს დაედო ფასი.

შემოდგომის ბარაქა ახარებს
მუშა კაცს. მალე შემოდგომა
ჟორა თვარაძის კარ-მიდამოშიც
დაიბერტყავს კალთას. ბარაქით
აივსება ყოველი კუთხე-კუჩქუ-
ლი. ასეთ შრომას, პატიოსანი
შრომით მოპოვებულ ბარაქას
აქვს სიტკბო. უშრომლად მოპო-
ვებული კი ავინებს და აჩაჩან-
აქებს კაცის სულსაც და ხორც-
საც.

დღეს ხომ როგორც არასდრ-
ოს, ისე სჭირდება საქართველოს
პატიოსანი შრომა, კარგი და
ერთგული კაცის სახელი.

პირველი მრავალპარტიული

საპარტოვო უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საოლქო საარჩევნო კომისიამ დამთავრა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია, არჩეულია საუბნო საარჩევნო კომისიები, წინა დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრები.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უზენაესი საბჭოს არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით.

უზენაეს საბჭოში აირჩევა 250 დეპუტატი ხუთი წლის ვადით მათგან 125 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 125 — პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები საყოველთაო: არჩევის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრობდა არანაკლებ 10 წლისა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა სიების დროულ და ხარისხიან შედგენას. ამომრჩეველთა სია დგება სამ ცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია მოაწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა რაიონუ-

წ ი ნ

ლი და სახალხო საბჭოების აღმასკომები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიების შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად, სიაში შეაქვს ამომრჩევე-

ამომრჩეველთა

ს ი ა

ლთა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი.

ამომრჩეველთა სიების საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღის ნაოსნობაში მყოფ გემებზე და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტანების მიერ წარმოდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვს ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

საარჩევნო სიაში შეაქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღის შემდგომ 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი შეტანილი უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რო-

არჩევნების

მდებარე შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანილი ათი დღის ვადაში ამომრჩეველებს ურიგდენ ამომრჩეველის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველის გვარი, სახელი, მამის სახელი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეტანილობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უზუსტობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არ უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინაღობა — დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უაზრობის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი.

თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის, ოლხონ არა ერთი და იმავე დასახლებულ პუნქტის ფარგლებში, ადგილსაყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარმოდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვს შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვს დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსაყოფელის მიხედვით.

ჩვენნი წარდგინება საქართველოს ერთმანდალ-ქრისტიანული პარტია

ეროვნულ-ქრისტიანული პარტია არის ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც იქნება გარანტია პიროვნებისა და ერის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინებისა — აღნიშნულია საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის პროგრამაში.

იგი შეიქმნა 1988 წელს, მაგრამ ოფიციალურად რეგისტრირებულია 1990 წელს. პარტიის თავმჯდომარეა ბატონი ემზარ გოგუაძე (სხვათაშორის იგი მონაწილეობდა 1990 წლის ივნისში უნივერსიტეტის 5 სტუდენტის შიმშილობის აქციაში, რომლის მიზანაც იყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა და ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტა).

ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის იდეურ საფუძველს წარმოადგენს ქრისტიანული მსოფლმხედველობა; ქართულ-კავკასიურ ტრადიციულ კულტურასა და ჰუმანიზმზე დაყრდნობილ ცალკეულ პიროვნებებს, ერებს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობანი, მიმართება ბუნებასთან, ზოგადსაქოცხლო კულტურასა და სამყაროსადმი.

ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, წინააღმდეგია რა ძალადობის გამოვლინების ყოველგვარი ფორმისა, აღიარებს მოქმედების მხოლოდ მშვიდობიან, ზნეობრივ ფორმებს. იგი აღიარებს ცივილიზებულ სამყაროში არსებულ ზოგადსაქოცხლო პრინციპებზე დაყრდნობილ ადამიანისა და ერის უფლებათა დეკლარაციებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, იღწვის ამ პრინციპების დამკვიდრებისათვის ჩვენს ცხოვრებაში. და იცავს ამ ნორმებით გათვალისწინებულ დებულებებს ნებისმიერ ადამიანთან, საზოგადოებრივ ჯგუფთან მიმართებაში, განურჩევლად ეროვნული თუ სოციალური კუთვნილებისა, პოლიტიკურ-ფილოსოფიური, რე-

ლიგიური მსოფლმხედველობისა. ეროვნულ-ქრისტიანული პარტია აღიარებს ხელოვნების, მეცნიერების და სულიერი სფეროს სხვა ფასეულობათა ზეპირტილობასა და თავისუფალ განვითარებას, მიიჩნევს, რომ აღზრდისა და განათლების სისტემა უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი იდეოლოგიისაგან, მოზარდთა აღზრდა უნდა წარმოებდეს ქრისტიანული ზნეობის საფუძველზე, ერისა და მსოფლიო კულტურის მონაპოვარსა და მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით.

ეროვნულ-ქრისტიანული პარტია ცნობს საკუთრების ოთხ ფორმას: კერძოს, შერეულს, კოოპერაციულსა და სახელმწიფოს. ამასთან თვლის, რომ კერძო საკუთრება უნდა იყოს ხელშეუხებელი, როგორც პიროვნების თავისუფლების გარანტია.

პარტია საქართველოს აღიარებს ქართველთა ქვეყნად, რომლის ტერიტორიაზეც სუვერენული უფლებით სარგებლობს ქართველი ერი. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ავტოქტონური მოსახლეობა, კერძოდ, აფხაზი ერი, რომელსაც სხვა სამშობლო არ გააჩნია, უნდა სარგებლობდეს ეროვნული ავტონომიის უფლებით. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ თავიანთი სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ, უნდა განიხილებოდნენ როგორც პიროვნებათა ჯგუფები, რომლებიც სარგებლობენ კულტურული განვითარების უფლებით. საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს ნებისმიერი ერისა თუ აღმსარებლობის, მსოფლმხედველობის მქონე პიროვნება, რომელიც ცნობს საქართველოს კონსტიტუციასა და ქართველი ერის ინტერესებს.

ეროვნულ ქრისტიანული პარტია მონაწილეობს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში. იგი გაერთიანებულია საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

ეროვნული გმირის სადიდებლად

უკვე ერთი წელი გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის მერაბ კოსტავა, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და სულისჩამდგმელი. ერთი წელია აღარ გვესმის მისი ომახიანი, მკაქარე, მომწოდებლური ხმა, ასე რომ აღანთებდა ახალგაზრდობას თავისუფლებისთვის. მისი წმინდა ცხოვრება ახლაც სანთლად ანთია და იმავე ახალგაზრდობას გზას უჩვენებს უზენაესი მიზნისაკენ.

13 ოქტომბერს მთელმა საქართველომ აღნიშნა თავისი ეროვნული გმირის გარდაცვალების წლისთავი. აღინიშნა ისე, როგორც ამ უაღრესად ქრისტიანული

ბუნების ადამიანს ეკადრებოდა. ყველგან საქართველოს ეკლესიებსა და ტაძრებში აღელვინა წირვა-ლოცვა ეროვნული გმირის სადიდებლად. ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში მამა უჩამ გადაიხადა მერაბ კოსტავას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

პანაშვიდს ესწრებოდნენ წმინდა ილია მართლის სასაზოგადოების წევრები, ახალგაზრდები, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, ბატონები თამაზ ყურაშვილი და გელა ჩარკვიანი. საკუთარი ინფორმაცია

„საბჭოთა პარტი არა ფარავს“

მასწავლებელთა სატიკარზე მინდა მოგახსენოთ, ამას წინათ რაიონულ გაზეთში ერთი ექიმი წერდა: ზოგიერთი მუშაკი შეგებულებას დანიშნულების მიხედვით არ იყენებს. სხვების არ ვიცი, მაგრამ მასწავლებელთაგან რომ მხოლოდ ზოგიერთი იყენებს შეგებულებას დანიშნულების მიხედვით, ეს დანადგირებით შემოძლია ეჭვმა.

არადადგების პერიოდში მასწავლებლებისათვის მძიმე ფიზიკური შრომის დღეებია და არა დასვენების, რა არის ამის მიზეზი — ფიზიკური შრომის სიყვარული? ნაწილობრივ შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ძირითადი მიზეზი ის დამამძიმებელი ანაზღაურებაა, მასწავლებლებს რომ აძლევს შრომის საფასურად იგი იძულებულია ფიზიკური შრომით ირიონოს თავი. ამ დროს კი ჩვენს პარტიულ და კვლავ ძველებურად ფქვავს: ამა და ამ მასწავლებელმა

ამდენი და ამდენი კილოგრამი ყურძენი მიიტანა სახელმწიფო მარანში, ამდენი და ამდენი კილოგრამი ღორის ხორცი ჩააბარა სახელმწიფოსო.

მასწავლებელთა ცხოვრების მძიმე პირობები, სხვა მიზეზებთან ერთად, უაზროდ გაკლენას ახდენს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე. ყოველწლიურად ქვეყანას ემატება მცირემცოდნეთა არმია, რომელიც მართლა არმია ული სიმტკიცით ლაშქარს უმაღლეს სასწავლებლებს. მიუხედავად არა ერთი დადგენილებისა, სახალხო განათლების სისტემაში არსებითი ძვრები არ შეინიშნება. წარსულის მწარე გაკეთილებიდან საჭირო დასკვნები გერ კიდე ვერ გავაკეთეთ. განა გაუნათლებელთა დიქტატურას არ შეეწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე? განა გაუნათლებლობამ არ გვაკერძოვინა ტაში ათეული წლების მანძილზე ყველა

ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორის? კომუნისტური პარტიისათვის? განა გაუნათლებლობის შედეგი არ არის, რომ ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში შეინიშნება ნეობოლშევიზმისა და ნეოფაშიზმის ელემენტები?

ახლა მხოლოდ იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლადარჩეული უზენაესი საბჭო სახალხო განათლებას გამოაცხადებს იმ ბალავად, რომელზეც უნდა აშენდეს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ხელისუფლება მეტ ყურადღებას დაუთმობს მასწავლებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ლმერომა იმედი ნუ მოგვიშალს.

ჯამალ სალინაძე,
საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დაჯილდოების

პ რ ი ვ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ვ ე დ რ ა დ

ქვეყნის
მთავრობის

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ამოქმედდა და დუპლირებული კანდიდატურა გაცნობიერებული აქვს სახელმწიფოსა და საზოგადოების მდგომარეობა, როცა კანდიდატი ამომრჩეველთა წინაშე გამოდის, საზოგადოებას ალუთქვამს, თუ არჩევის შემთხვევაში რას დაუტერს მხარს. მაგალითად, პირდება, რომ ხელს შეუწყობს ახალი საწარმოების გახსნას და ამით უმუშევრობას შეამცირებს; სამხედრო ხარჯების შეკვეთით—გააღებებს ხელფასებს, ან შეამცირებს გადასახადებს და ა. შ. როგორც მოგახსენეთ ეს იმ ქვეყნებში ხდება, სადაც მაღალია პოლიტიკური აზროვნების დონე და თითოეულმა იცის, რა უნდა და რის გამკეთებელია.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? დღეს ჩვენი ქვეყანა და, შესაბამისად, საზოგადოება იმ ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც სრულად ვერ გაუცნობიერებია თავისი მდგომარეობა, ხანდახან, რაც იცის, იმის გამხელაც არ სურს და არც მკურნალი ჩანს გულთმისანი და ყოვლისშემძლე. საქართველოში დღეს შექმნილია ისეთი კრიზისული ვითარება, როცა ადამიანებს აღარ შეუძლიათ ძველებურად ცხოვრება, მთავრობა კი ვერ ახერხებს ახლებურად მართვას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ხელშეწყობით განიგრძებენ ქვეყნის სატიკვარს და ნორმალურ პირობებში ჩააყენებენ ცხოვრების მდინარეებს.

დაფიქრება მართებს ყველას და პირველ რიგში—ამომრჩეველს, რათა კიდევ ერთხელ არ იქნეს დაშვებული შეცდომა და ქვეყნის მართვის უღელი მას არ დაედავოთ, ვისაც ამისი არც ძალა აქვს და არც მოწოდება. ამისათვის კი თითოეულმა ჩვენთაგანმა ერთმანეთის ხელშეწყობით უნდა გავაცნობიეროთ ის მიზეზები, რამაც ჩვენი სამშობლო კრიზისულ მდგომარეობაში მიიყვანა. შორს რომ არ წავიდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ უკანასკნელი 70-წლიანი ისტორია, რომლის განმავლობაშიც სახელმწიფოს, რომელზეც ჩვენც ვიყავით მიჯნეული, საბჭოთა კავშირი ერქვა, ხოლო მსოფლიოში—ბოროტების იმპერია.

წითელი დროშით და თეთრი ცხენით შემოდიოდა სიკვდილი ცელით“ ასე შეაფასა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ ის ვერაგობა, რომელიც რუსეთმა 1921 წლის თებერვალში საქართველოში ჯარის შემოყვანით განახორციელა. დამუშეული რუსის ჯარი, რომელსაც ქართველი ბოლშევიკები (ორჯონიძე, მანარაძე, ცხაკაია, გიგეჭორი და სხვ.) მოუძღოდნენ, შემოვიდა საქართველოში და ქართველ პატრიოტთა გვამებზე აღმართა წითელი დროშა, რაც სასწრაფოდ ახარა ორჯონიძემ ლენინსა და სტალინს. დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქვეყანაში დაინერგა ტერორი და დევნა, განადგურდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ქედმოუხრელი ქართვე-

ლი ხალხი აჯანყებას აჯანყებაზე აწყოდა, მაგრამ რუსის ჯარი ისევ ქართველი მოალბატების ხელშეწყობით სისხლში ახრჩობდა ნებისმიერ გამოსვლას. ამას მოჰყვა კოლექტივიზაცია—ისევ გაჩანაგება და განადგურება ქართული სოფლისა და დამკვიდრებული ცხოვრების წესის. 37 წლის პარტიული წმენდა—ისევ უამრავი დახვრტილი და ციხეში გასახლებული. შემდეგ ომი და ნუ დაგვანწყობდა, რომ პროცენტულად თვით დამარცხებულ გერმანიასაც არ ჰქონია ისეთი მასიური გავრცევა, როგორც საქართველოს, 700 ათასი გაწვეულიდან ნახევ-

ვარზე მეტი ბრძოლის ველზე დარჩა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვინც როგორღაც დაუსხლტა გერმანელთა ტყვეობას, 1951 წელს აპყარეს და ლაღად ბრალდებით გაასახლეს საქართველოდან. ამასთან 1951 წლის ეს „სასახელო“ ქმედება მხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული.

1956 წელი—იმ პირობების ღირსების დასაცავად გამოსული ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც რუსეთს უკიდვანო იმპერია დაუტოვა, უმოწყალოდ დახოცეს თბილისში. მშობლებს დახოცილების დატირებაც კი არ დაანებეს. ყველა ეს უბედურება ხდებოდა მოსკოვის ბრძანებით და ახორციელებდნენ ის პიროვნებები, რომლებიც სანაცვლოდ კომუნიზმს გვპირდებოდნენ. რა ჰქონდათ ჩაფიქრებული ამ კომუნიზმში—ეს დღევანდელ ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას ეტყობა.

გავიდა წლები და როგორც ამბობენ, პარტიამ და ხელისუფლებამ შემოდან დაუშვა საჯაროობა და დემოკრატია. მაგრამ რა? სწორედ დემოკრატიის მოთხოვნით გამოსული ქართველი ახალგაზრდობა დაგვიხოცა და მოგვიწამლა დაუნდობლად რუსის ჯარმა 1989 წლის 9 აპრილს. ამ ბოლო მსხვერპლმა მაინც უნდა დაგვანახოს, რომ ამ პირობებში ყოველგვარ დემოკრატიასა და თანასწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თვით იდეაც, რომელსაც კომუნიზმი უწოდებს და მისით ცდილობდნენ ხალხის გაბრყვებას, ერთადერთ მიზანს—იმპერიის შენარჩუნებას ემსახურებოდა. ამ იმპერიის გასამაგრებლად თითოეული ჩვენგანის ძარცვით შეიქმნა ვებერთელ სამხედრო მახინჯი, თავისი ატომური იარაღით, რომლის შემცირებაც დღეს ახალ ხარჯებს ითხოვს და პრობლემად ქცეულა მთელი მსოფლიოსთვის. აი, ის პოლიტიკა, რითაც დღემდე მოვიდით, რაღა თქმა უნდა, თუ შეიძლება ყოველივე ამას პოლიტიკა ეწოდოს. რა ხდება და ცხოვრების სხვა სფეროებში. ვის არ უნდა, მეგობრებო, იყოს ჩანართული და შეინარჩუნ-

ნოს სიცოცხლე, იზრუნოს შეილების კეთილდღეობაზე, ჰქონდეს ფული და შესაძლებლობა, ამ ფულით არსებობისათვის აუცილებელი ნივთები მაინც შეიძინოს, ქვეყნის გაუქმდებლობა მართვამ ყველა ამ სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი გადაგიწურა. უარყოფილი იქნა რელიგია, კერძო საკუთრება, გლეხი ჩამოაცილეს მარჩენალ მიწას, ახურად აიგდეს, შრომა უარყოფილია და ქანჭიკის დონეზე დაიყვანეს ადამიანის ღირსება. ცხოვრების ამ გაუქმდებლობა ღმა წესმა იქამდე მიგვიყვანა, რომ როგორც ბატონი აკაკი ბაქრაძე იტყვის ხოლმე, საკუთა-

რი ნაშრომის ქურდობად ვიქცით. ჩვენი განვლილი ცხოვრება განისაზღვრებოდა არა იმით, თუ რა იყო კარგი ადამიანისათვის, არამედ იმით, თუ რა იყო კარგი სისტემისათვის. მართალია, წლებში განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, რომ ის, რაც კარგია სისტემისათვის, კარგია თითოეული ადამიანისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ხალხის მოტყუება აღმოჩნდა.

დღეს ხშირად გავიგონებთ, რომ ჩვენი მთავრობა მარიონეტული—კრემლიდან მართულიაო—საქართველოს მთავრობა რომ მოსკოვისთვის ადვილად სამართავი ყოფილიყო, ზემოთ უკვე ნახსენებ ქმედებებთან ერთად ეკონომიკის დაკაბულბითაც უნდა განხორციელებულიყო. წლების განმავლობაში ყველაფერი ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ დღეს ნებისმიერი რესპუბლიკა მოექცა ჩიხში.

საქართველოს სოფლის მეურნეობიდან წამოიპოვა ტრადიციული კულტურები და მთელი მიწები ჩაით, ციტრუსებით და ხილით დაფარეთ. ყველა ქარხნისა და ფაბრიკის აშენება ისე იყო ჩაფიქრებული, რომ არცერთ მათგანს ადგილობრივი ნედლეულით არ ემუშავა. დღეს რომ შეგვიწვიტონ შესაბამისი ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების მოწოდება, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობა გაჩერდება. და ახე მხოლოდ საქართველოში არ ხდებოდა, იგივე მდგომარეობაშია ყველა რესპუბლიკა—სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და თვით რუსეთიც კი. თუ რა პოლიტიკური მიზანი აქვს ყოველივე ამას, უკვე ითქვა. ეკონომიკურად კი ეს მოქმედება უაზრობაა, იზარება უამრავი შრომა და ფული ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში ფუტ გადასაღებზე მაშინ, როცა ბევრად მომგებიანი იქნებოდა, რკინის ნაწარმი მას ეწარმოებინა, ვისაც რკინის მადანი აქვს, ბამბის ქსოვილი მას, ვისაც ბამბა მოჰყავს, ღვინო და ვაშლის წვენი კი მას, ვისაც შესაბამისი რეზურვები აქვს. აი, მოკლედ, ის მიზეზები, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე და საიდანაც უნდა დავიხანოთ ის საკეთებელი,

რომელიც რაც შეიძლება მოკლე დროში გამოგვიყვანს კრიზისული მდგომარეობიდან. ახლა მოკლედ იმ ძირითადის შესახებაც, რომელიც პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს საქართველოს უზენაესი საბჭომ. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებამ გააუცხოვა გლეხი თავისი მარჩენალისაგან. ამიტომ პირველი, რაც უზენაესმა საბჭომ უნდა განახორციელოს, ესაა ქართველი გლეხისთვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ბუნებაში უზენაესი მძარცველურმა ჩარევამ თავისი შედეგები გამოიღო. მოიწამლა მერი, გიგანტური წყალსაცავების მშენებლობამ შეწყერსაში გახდა ქართული სოფლები, ნადგურდება ტყეები, უმისამართოდ ნიადაგია ჩვენი წიაღისეული—სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კანონი ბუნებათსარგებლობის შესახებ.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ეკონომიკის ფეხზე წამოყენება საბაზრო მექანიზმის დანერგვის გარეშე წარმოუდგენელია. ამავ დროს საზოგადოებამ ისიც უნდა იცოდეს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ფასების სწრაფ ზრდას გამოიწვევს. ამიტომ ვიდრე ბაზარი საქონლით გაჭირდება და დეფიციტი მოიხსნება, უნდა დადგინდეს ის სასიცოცხლო მინიმუმი, რომელიც აუცილებელია თითოეული ადამიანისთვის, შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომ მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს ხელმისაწვდომ ფასებში დაიკმაყოფილოს მოთხოვნილების მინიმუმი მაინც, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიქმნას სატალონო სისტემა.

უნდა გაუქმდეს საწარმოების საკავშირო დაქვემდებარება, დაიწესოს ამა საწარმოების პროფილის შეცვლა ისე, რომ ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები მუშაობდნენ ჩვენს ნედლეულზე და სხვა ქვეყნების საწარმოებთან ამყარებდნენ ურთიერთგელსაყრელ ურთიერთობებს. კერძო საკუთრების უარყოფამ მოსპო კერძო ინიციატივა, რამაც გაჩანაგებად მიიყვანა სახალხო მეურნეობა, ამიტომ, როგორც სოფლის მეურნეობაში ასევე მრეწველობაში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს კერძო საკუთრებას. სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კანონი ქარხნებისა და ფაბრიკების კერძო პირებისა და შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვის შესახებ.

ეკონომიკის იდეოლოგიაზე დაქვემდებარებამ წარმოშვა დიქტატი, მექრთამეობა და მომხვეჭელობა. სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს ტერიტორიების პარტიული მართვა და კომუნისტური პარტიის ქონება გადაეცეს ხალხს, ხოლო მმართველობა—ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს. უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების წითელ ჯარში გაწვევა. საქართველოში უნდა შეიქმნას ეროვნული არმია. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზები და ტე-

ქნიკა საქართველოს საკუთრებაა. უნდა შეწყდეს ფაბრიკების, ქარხნების, სასწავლებლების, კულტურული დაწესებულებების დიდ ქალაქებში თავმოყრა და ამით ქართული სოფლების და ცარიელები. საქართველო მთელს მის ტერიტორიაზე თანაბრად უნდა ვითარდებოდეს.

საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ერის წარმომადგენელი პატივს უნდა სცემდეს ქართველი ხალხის ინტერესებს, იღწვოდეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. შესაბამისად დაცული უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ერისა და პიროვნების ინტერესები; უნდა შეიქმნას კანონი საქართველოს მოქალაქის შესახებ.

დღემდე საქართველო უცხო ქვეყნისა და ხალხისათვის დაწერილი კანონებით იმართებოდა. მომავალ უზენაეს საბჭოს ქართული ხალხის ინტერესების შესაბამისი ასობით ახალი კანონის შექმნა და დამკვიდრება მოუწევს. ამ კანონებიდან უმეტესობა ეკონომიკური ხასიათისა იქნება. სწორედ დღეს უნდა ჩაიყაროს საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და წარმატების საფუძველი. თუ ჩვენ ძლიერი ეკონომიკური დასაყრდენი არ გვქმნა, ვერ შევძლებთ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთო პოლიტიკის გატარებას. სწორედ ეკონომიკურმა სიძლიერემ უნდა მოგვცეს იმის საშუალება, რომ ქვეყანას პოლიტიკურად მართავდნენ, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები ამკვიდრებდნენ ამაღლებულ წნეობას და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მშრომელი ადამიანები ქმნიდნენ სახალხო-სამეურნეო დოვლათს და ყველა ერთად ემსახურებოდნენ პიროვნებისა და სამშობლოს თავისუფლებას.

ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს ბევრი საქმის დაწყება ნულიდან მოუწევს და, ბუნებრივია, საქმის იქნება დრო და საქმის მცოდნე ადამიანები. მაგრამ როგორი კარგებიც არ უნდა იყვნენ ისინი, მათი ძალისხმევა განუზოციებლად დაიჩნდა, თუ ქართველი ხალხი არ ამოუდგა მხარში უზენაეს საბჭოს.

მადლობა გავთ „ლიტერატურა“ რედაქციას, რომელმაც საშუალება მომცა გავსაუბრობოდი ცაგერის რაიონის მშრომელებს; მადლობა მათ, ვინც დრო არ დაიშურა, ბოლომდე წაეკითხა წერილი და გაიზარა მასში გამოთქმული აზრები;

მათ, ვინც თავისი საქმიანი წინადადებებით დამეხმარება და შეავსებს ჩემს ცოდნას;

მათ, ვინც მენდობა და არჩევენ მხარს დამიტერს, რამეთუ თქვენა ხართ, მეგობრებო, ის ადამიანები, ვის წინაშეც ანგარიშვალდებულად ვთვლი თავს და ვისი ინტერესების გათვალისწინებითაც უნდა გაგრძელდეს ჩემი შრომადი საქმიანობა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

გელა ჩარაპიანი, ეკონომისტი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში. მონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

